საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№357 2018 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი

სსიპ – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს თავმჯდომარის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამარტივებული საჯარო კონკურსის გამოცხადების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის, საკონკურსო თემატიკის განსაზღვრისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 სექტემბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე (შემდგომში – თავმჯდომარე), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც განსაზღვრავს თავმჯდომარის თანამდებობაზე გამარტივებული კონკურსის გამოცხადების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის, საკონკურსო თემატიკის განსაზღვრისა და საკონკურსო კომისიის შექმნის საკითხებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად:

1. თავმჯდომარის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს გამარტივებული საჯარო კონკურსი (შემდგომში – კონკურსი).

2. დადგინდეს თავმჯდომარის თანამდებობისათვის შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება – ეკონომიკის, ფინანსების ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული);

ბ) სასურველია პროექტების მართვის მიმართულებით სამუშაო გამოცდილება;

გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 4 წლიანი გამოცდილება;

დ) ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული კონკურსისათვის დადგინდეს შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

დ) საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი ,,საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“;

ვ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

თ) საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;

ი) საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

კ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 სექტემბრის N452 დადგენილება;

ლ) ,,საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილება;

მ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N428 დადგენილება;

ნ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესიდან გამომდინარე დავის განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 აგვისტოს N437 დადგენილება;

ო) „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანება.

4. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კანდიდატს დაევალოს ბრძანების მე-2 პუნქტით დადგენილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლებისა და რეზიუმეს წარმოდგენა.

5. შეიქმნას თავმჯდომარის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე – ალექსანდრე დარახველიძე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე – ეკატერინე მიქაბაძე;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე – ნიკოლოზ გაგუა;

დ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი – ნათია მიქელაძე;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი – გიორგი ჭოლაძე.

6. ამ ბრძანებით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების მიზნით კომისიას დაევალოს:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება და მათი შეფასება;

გ) ხმათა უმრავლესობით შერჩეული საუკეთესო კანდიდატის საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენა.

7. კონკურსის ორგანიზება და ამ ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს.

მამუკა ბახტაძე